



# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## გადაწყვეტილება

N გ-19-2/624  
07/11/2019

624-გ-19-1-4-201911070937



### კერძო რადიომაუწყებლობის №№B18, B45, B46, B47, B49, B51, B52, B58, B67, B73, B81, B82 ლიცენზიების მოდიფიცირებისა და კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით მოქმედი რადიომაუწყებლობის ლიცენზიებიდან გარკვეულ ნაწილს განსხვავებულად აქვთ ჩამოყალიბებული მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები, კერძოდ ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულია მხოლოდ სიხშირული რესურსი, სიმძლავრე და გეოგრაფიული ზონა. აღნიშნულ ლიცენზიების ტექნიკურ პარამეტრებში არ არის მითითებული: გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი, მოდულაცია, პოლარიზაცია, გასხივება, გადამცემის და ანტენის განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან, ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი.

კომისია აღნიშნავს, რომ ასეთ ლიცენზიებს ფლობენ შემდეგი კომპანიები:

1. შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“ კერძო რადიომაუწყებლობის №B18 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2013 წლის 8 მაისის №311/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი/შემეცნებითი);
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 100,3 მჰც სიხშირეზე 1 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი;

2. შპს „რადიოკომპანია პირველი რადიო“ კერძო რადიომაუწყებლობის №B45 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №401/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;



ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 106,4 მგჰც სიხშირისა და 1 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით (ქ.თბილისი).

3. შპს „რადიოკომპანია პირველი რადიო“ კერძო რადიომაუწყებლობის №B46 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2014 წლის 16 აპრილის №207/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 106,4 მგჰც სიხშირეზე 800 ვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ.ყვარელი და მიმდებარე რაიონები.

4. შპს „ფოთი ტვ“ კერძო რადიომაუწყებლობის №B47 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2012 წლის 6 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2022 წლის 10 ივლისამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 100,5 მგჰც სიხშირეზე, 50 ვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ.ფოთი.

5. შპს „რადიო იმედი“ კერძო რადიომაუწყებლობის №B49 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №824/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2021 წლის 31 დეკემბრამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) რადიომაუწყებლობა 105,9 მჰც სიხშირეზე, 200 ვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი;

ვ.ბ) რადიომაუწყებლობა თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით.

6. შპს „რადიოცენტრი პლუს“ კერძო რადიომაუწყებლობის №B51 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №825/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2021 წლის 31 დეკემბრამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

რადიომაუწყებლობა 103,9 მგჰც სიხშირეზე 1 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ.თბილისი.

7. შპს „არტ რადიო“ კერძო რადიომაუწყებლობის №B52 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №834/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) მაუწყებლობის სახე: რადიომაუწყებლობა;

ა.ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

ა.გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო რადიომაუწყებლობა;

ა.დ) მაუწყებლობის ენა: ქართული;

ა.ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ა.ე.ა) რადიო მაუწყებლობა 101,9 მგჰც სიხშირეზე 1 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი;

ბ) მაუწყებლობის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ.ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

ბ.გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) რადიომაუწყებლობა;

ბ.დ) მაუწყებლობის ენა: ქართული;

ბ.ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 97,5 მგჰც სიხშირეზე 1 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი;

8. შპს „რადიოკომპანია მწვანე ტალღა“ კერძო რადიომაუწყებლობის №B58 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №820/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2021 წლის 31 დეკემბრამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ინგლისური;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 107,4 მგჰც სიხშირეზე 750 ვატი სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ.თბილისი;

9. შპს „რადიოკომპანია საქართველოს ხმა“ კერძო რადიომაუწყებლობის №B67 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2013 წლის 26 ივლისის №475/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 107.9 მგჰც სიხშირეზე 1 კვტ. სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი;

10. შპს „ტელერადიოკომპანია რიონი“ კერძო რადიომაუწყებლობის №B73 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №828/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2021 წლის 31 დეკემბრამდე;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) რადიომაუწყებლობა 105.5 მგჰც სამუშაო სიხშირეზე 500 ვატი სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით ქ.ქუთაისში და მიმდებარე რაიონებში;

ვ.ბ) რადიომაუწყებლობა თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით.

11. შპს „სისტემა გამა“ კერძო რადიომაუწყებლობის №B81 ლიცენზიას ფლობს კომისიის 2013 წლის პირველი მაისის №291/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, რუსული;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიო მაუწყებლობა 104,3 მგჰც სიხშირეზე 0.5 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი;

12. შპს „სისტემა გამა“ კერძო რადიომაუწყებლობის №B82 ლიცენზიის ფლობს კომისიის 2013 წლის პირველი მაისის №291/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (შემეცნებითი) მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ფრანგული, რუსული;
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 102,9 მგჰც სიხშირეზე 0.25 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. თბილისი

კომისია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ლიცენზიებში ტექნიკური პარამეტრების მითითება აუცილებელია, ვინაიდან მოქმედი FM გადამცემების ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ხდება თავისუფალი სიხშირული რესურსის დაგეგმარება 87.5-108 მჰც დიაპაზონში, შესაბამისად აღნიშნული გადამცემების განთავსების ადგილის, ანტენის დაკიდების სიმაღლის და სხვა ტექნიკური მახასიათებლების რეალურ პირობებში გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ლიცენზიის პირობებს.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მიერ გადამოწმებულ იქნა ზემოთ მითითებული რადიომაუწყებლების გადამცემი სადგურის განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, ანტენის დაკიდების სიმაღლე და სხვა ტექნიკური პარამეტრები. მონიტორინგის შედეგად გადამოწმებული მონაცემების თანახმად (სამსახურებრივი ბარათი №19-10-1638, 23.08.19 და №19-10-2069, 24.10.19) კერძო რადიომაუწყებლობის №№B18, B45, B46, B47, B49, B51, B52, B58, B67, B73, B81, B82 ლიცენზიებში შესაძლებელია მიეთითოს შემდეგი ტექნიკური პარამეტრები:

№	გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	ლიცენზია №	სიხშირე (მჰც)	მოდულია ცია	პოლარიზაცია (v/H)	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
1	ქ. თბილისი	B18	100.3	FM	V	წრიული	1000	41°41'35.13"N 44°45'18.13" E	35	8
2	ქ. თბილისი	B45	106.4	FM	V	წრიული	1000	41°41'39 "N 44°46'36" E	40	8
3	ქ. თბილისი	B49	105.9	FM	V	წრიული	200	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	250	8
4	ქ. თბილისი	B51	103.9	FM	V	წრიული	1000	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	187	8
5	ქ. თბილისი	B52	101.9 97.5	FM	V	წრიული	1000 1000	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	228	8
6	ქ. თბილისი	B58	107.4	FM	V	წრიული	750	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	137	8
7	ქ. თბილისი	B67	107.9	FM	V	წრიული	1000	41°43'3.71"N 44°50'0.09"E	70	8
8	ქ. თბილისი	B81	104.3	FM	V	წრიული	500	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	90	8
9	ქ. თბილისი	B82	102.9	FM	V	წრიული	250	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	90	8
10	ქ. ყვარელი	B46	106.4	FM	V	წრიული	800	41°54'26.43"N 45°49'42.54"E	25	7
11	ქ. ქუთაისი	B73	105.5	FM	V	წრიული	500	42°16'48"N 42°44'12"E	65	8
12	ქ. ფოთი	B47	100.5	FM	V	წრიული	50	42°8'30.50"N 41°40'18.90"E	25	6

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი აღარ ითვალისწინებს თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით რადიომაუწყებლობის განხორციელებისას ლიცენზირებას, შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი ამოღებულ უნდა იქნას ლიცენზიის პირობებიდან, ხოლო თუ კომპანიას სურვილი ექნება განახორციელოს ზემოაღნიშნული ტექნოლოგიით მაუწყებლობა მან უნდა გაიაროს ავტორიზაცია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ასევე აღსანიშნავია, რომ რადიომაუწყებლობის აღნიშნულ ლიცენზიებში მითითებული სამაუწყებლო ზონების განმარტება აღარ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებას, რომლის თანახმად 87.5მჰც-დან 108.0მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ზონა არის საკონკურსო პირობით განსაზღვრული, ერთი ან რამდენიმე გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის ან/და სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლევით. შესაბამისად მიზანშეწონილია ლიცენზიებში მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონის კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში მითითებული განმარტების შესაბამისად განსაზღვრა.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 26 სექტემბრის №გ-19-23/557 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება კერძო რადიომაუწყებლობის №№B18, B45, B46, B47, B49, B51, B52, B58, B67, B73, B81, B82 ლიცენზიების მოდიფიცირებისა და კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის მიზნით. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 31 ოქტომბრის 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 სამუშაო დღე.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღად დასახელდა 2019 წლის 7 ნოემბრის 15:00 საათი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პირობითებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;

ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

კომისიის 2019 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე კომისიამ მიიჩნია, რომ სახეზეა ”მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა: საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა და ასე კომისიის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე; ამავე დროს, ზემოაღნიშნული ლიცენზიების მოდიფიცირების შემთხვევაში არ დაირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. მოდიფიცირდეს შპს „ვერიკა ტელერადიოკომპანია“ კერძო რადიომაუწყებლობის №B18 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2013 წლის 8 მაისის №311/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასიხვევა	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	100.3	FM	V	წრიული	1000	41°41'35.13"N 44°45'18.13" E	35	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით“.

2. მოდიფიცირდეს შპს „რადიოკომპანია პირველი რადიოს“ კერძო რადიომაუწყებლობის №B45 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №401/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	106.4	FM	V	წრიული	1000	41°41'39" N 44°46'36" E	40	8

*ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).*

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით“.

3. მოდიფიცირდეს შპს „რადიოკომპანია პირველი რადიოს“ კერძო რადიომაუწყებლობის №B46 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 16 აპრილის №207/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ყვარელი	106.4	FM	V	წრიული	800	41°54'26.43" N 45°49'42.54" E	25	7

*ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).*

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით“.

4. მოდიფიცირდეს შპს „ფოთი ტვ“-ს კერძო რადიომაუწყებლობის №B47 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2012 წლის 6 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ.ფოთი	100.5	FM	V	წრიული	50	42°8'30.50"N 41°40'18.90"E	25	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით“.

5. მოდიფიცირდეს შპს „რადიო იმედის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B49 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №824/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	105.9	FM	V	წრიული	200	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	250	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით“.

6. მოდიფიცირდეს შპს „რადიოცენტრი პლუსის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B51 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №825/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	103.9	FM	V	წრიული	1000	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	187	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით“.

7. მოდიფიცირდეს შპს „არტ რადიოს“ კერძო რადიომაუწყებლობის №B52 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №834/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ა.ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ა.ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	101.9	FM	V	წრიული	1000	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	228	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ა.ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით“.

8. მოდიფიცირდეს შპს „არტ რადიოს“ კერძო რადიომაუწყებლობის №B52 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №834/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მაუწყებლობის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ.ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

ბ.გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) რადიომაუწყებლობა;

ბ.დ) მაუწყებლობის ენა: ქართული;

ბ.ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ბ.ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:



გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	97.5	FM	V	წრიული	1000	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	228	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ბ.ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომცლებით;

ბ.ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ბ.ვ.ა) თავის საქმიანობაში დაიცვას პირთა უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები, წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მომსახურების პირობების შესაძლო ცვლილების შესახებ;

ბ.ვ.ბ) ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი, პროგრამის დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით;

ბ.ვ.გ) წარუდგინოს კომისიას ინფორმაცია “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშების თაობაზე და კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით ჩარიცხოს თანხები კომისიის ანგარიშზე;

ბ.ე.დ) გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და განხორციელებული მომსახურების ხარისხი შეუსაბამოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნორმატივებსა და სტანდარტებს, იქონიოს შესაბამისობის სერთიფიკატი;

ბ.ვ.ე) დაიცვას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის წესი;

ბ.ვ.ვ) უზრუნველყოს, ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობისათვის, საჭიროების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების მიღება;

ბ.ვ.ზ) მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, მათთან შესაბამისობაში მოიყვანოს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა;

ბ.ვ.თ) შექმნას არქივი და არანაკლებ 1 თვის განმავლობაში შეინახოს პროგრამები;

ბ.ვ.ი) მიიღოს ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომები. უზრუნველყოს ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება. დაიცვას “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა შინაარსობრივი ვალდებულებები.

ბ.ვ.კ) ყოველწლიურად, არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 თებერვლისა გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 61-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია:

ბ.ვ.ლ) წარუდგინოს კომისიას და გამოაქვეყნოს საკუთარ ვებ-გვერდზე შესაბამისობის დეკლარაცია მისი წილის მფლობელებისა და აქციონერების, ხელმძღვანელი ორგანოების წევრებისა და თანამდებობის პირების ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 10 დღის ვადაში;

ბ.ვ.მ) არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა კომისიას წარუდგინოს გასული წლის საქმიანობის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების მოთხოვნათა შესრულების, მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ; ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.

ბ.ვ.ნ) კომისიას წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში რადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ.ვ.ო) იქონიოს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

ბ.ვ.პ) მაუწყებლობის პროცესში დაიცვას “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები;”

9. მოდიფიცირდეს შპს „რადიოკომპანია მწვანე ტალღის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B58 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №820/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	107.4	FM	V	წრიული	750	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	137	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით“.

10. მოდიფიცირდეს შპს „რადიოკომპანია საქართველოს ხმის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B67 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2013 წლის 26 ივლისის №475/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარ იზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	107.9	FM	V	წრიული	1000	41°43'3.71"N 44°50'0.09"E	70	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომცლებით“.

11. მოდიფიცირდეს შპს „ტელერადიოკომპანია რიონის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B73 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №828/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ვ.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარ იზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ქუთაისი	105.5	FM	V	წრიული	500	42°16'48"N 42°44'12"E	65	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომცლებით“.

12. მოდიფიცირდეს შპს „სისტემა გამას“ კერძო რადიომაუწყებლობის №B81 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2013 წლის პირველი მაისის №291/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარ იზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	104.3	FM	V	წრიული	500	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	90	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით“.

13. მოდიფიცირდეს შპს „სისტემა გამას“ კერძო რადიომაუწყებლობის №B82 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2013 წლის პირველი მასის №291/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარ იზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	102.9	FM	V	წრიული	250	41°41'44.88"N 44°47'6.11" E	90	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით“.

14. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (ნ. ლორთქიფანიძე) და სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა):

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;

ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;

გ) ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა;

15. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო.ვოტ):

ა) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;

ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებისთვის გაგზავნა;

16. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღიდან;

17. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) ლიცენზიის მფლობელისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

18. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-14 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტებისა, მე-15, მე-16 და მე-17 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა).

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი

ვახტანგ აბაშიძე

წევრი